

4  
1963

ქართული  
გზაობა



— თქვენი უვილი კოლმეურანეობაში რატომ არ მუ-  
შაობს?  
— სუსტად არის, ენაცვალოს დედა, ეზოში ბორო-  
ლასთან ერთობა!


№ 10 თბილისი მაისი 1963

**საბჭო**

გამოცემის 82-40 ფილი, ფასი 20 კპ.

ნახ. ჯ. ლოლუასი

*კანკა*



ოცდახუთი წელიწადი არ ეთვლება დაკარგულად, დროთა სვლაში გადაიქცა „საბლიტგამი“ „წაქადულად“.

ახალ წიგნთა გამოშვებას არ იქნება არ ჩქარობდეს, მოჩუხჩუხე წაქადული არასოდეს დაჭაობდეს.

რომ წიგნები ათასფერი, ბავშვთა გულში ჩასახუტად, კლავაც ბევრი გამოეშვას მის კაპიტანს, ძია ხუტას.

# მსახი



განგებამ ისე ისურვა, რომ დაბადებულიყო ისონ დავითის-ძე მოგელაშვილი გორის რაიონის სოფელ საქაშეთში, იქვე გაზრდილიყო. შემდეგ კი თავისი ბედი თვითონვე ეძია. გაიზარდა ისონი თავის ტოლ-აზნაანებთან ერთად, აიღო ერთ დღეს თოხი ხელში, მაგრამ არ მოეწონა.

— არ გობდება, ისონი! — უთხრა ისონმა თავის თავს.

— მაშ რა ვაკეთოთ? — შეეკითხა ისონი ისევ თავის თავს, — თოხი — არა, წიგნი, — არა, ნამგალი — არა, ჩაქუჩი — არა, ტრაქტორი... კომბაინი — და, ბოლოს, მაინც მიაგნო — ფოტოაპარატი.

— ფოტოაპარატი ნამდვილად მომიხდება, — თქვა ისონმა და ქ. ხაშურში ფოტოგრაფ ვ. გრძელიშვილს ხელობის შესასწავლად მიადგა.

— ბავშვობიდანვე ვოცნებობდი ფოტოაპარატზე, გულგრილად ვერ ვუყურებ, განსაკუთრებით მალეღებებს აპარატის ჩხაკუნს... — ისონს ბევრი რამ აღეღებდა და იზიდავდა, მაგრამ მამის ზედმეტი არაფერი უთქვანს, გულმოდგინედ შეუდგა ხელობის შესწავლას.

ერთ დღეს მოხუცი ფოტოგრაფი გარდაიცვალა და, ხსოვნის გარდა, ცოლი, ვაჟიშვილი, სახლი და ქონება დატოვა. ოციოდე წლის ისონმა რამდენიმე ცრემლი გადმოაგდო, ყველაფერი ეს ერთად აწონა და ახალდაქორიეულ მარიამ გრძელიშვილის მიმართ, რომელიც დედად ეცუთვნოდა, დედაშვილურის გარდა, ყველა სახის გრძნობები გამოამყვანა.

— მიყვარხარ! — უთხრა ისონმა და აპარატი დაიფიცა.

მარიამმა ვერ გაუძლო ცდუნებას, ისონს გული აუჩვილდა და ქონება ჩაიბარა.

რამდენიმე თვის შემდეგ ისონმა შენიშნა, რომ გერი, რომელიც მხოლოდ ორი წლით უფროსი იყო მასზე, ძალზე წააგავდა გარდაცვლილ მამას.

— მაგის ყურება არ შემიძლია, ჩემი საყვარელი მასწავლებლები მაგონდებან, — აღელდა კეთილი ისონი და გერი სახლიდან დაიხიზნა. დარჩა ისონს ბურთი და მოედანი, უძრავი და მოძრავი ქონება და „საყვარელი“ მეუღლე, რომელიც იმდენად ნაზად უყვარდა, რომ ერთხელ გორში, რომელიღაც დაკრძალვის შემდეგ, ისონს სიყვარულის გამოხატვის ჩვეულებრივი საშუალებები აღარ ეყო და ცოლს მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მალე მარიამ გრძელიშვილი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან ახლობლებთან თავისი შეცდომა აღიარა და ისონს „სიკეთე“ წყალში გადაუყარა.

— მე შევცდი, — თქვა მარიამმა, — ეგ გველი ცხოვრებაში კიდევ ბევრ ბოროტებას ჩაიდენს.

მაგრამ ისონმა გარდაცვლილ მეუღლეს კეთილშობილურად აპატია, ცოტა გაციებაც აცალა და ახალი ცოლი მოიყვანა. ახალ ცოლს ახალი საზრუ-

ნავი მოჰყვა, აჩხაკუნდა ფოტოაპარატი აპარატის ჩხაკუნს ფულის შრილი შეუერთდა. ილიმბოდნენ ფოტოსურათებიდან ისონის კლიენტები. მაგრამ სასწრაფოდ კარგავდნენ ისინი ამ თვისებას ფულის გადახდისას. ამ დროს უკვე თვითონ ისონი ილიმბოდა.

მალე ისონს ფეხით სიარული მოწყინდა და „მოსკვიჩი“ იყიდა. არ მოეწონა ისონს თავისი მანქანის ფერი, გაყიდა და სხვა „მოსკვიჩი“ იყიდა, შემდეგ იმაზედაც უფრო აიყრუა და „პობედა“ შეიძინა.

— რა ვუყო ამოდენა ფულს? — შეეკითხა ისონი ისონს.

— სახლი ფიციდოთ, — უბასუბა თავის თავს და მართლაც იყიდა მეორე სახლი თავისი ნაკვეთით 1200 მანეთად, მაგრამ რადგანაც თვითონ საკმაოდ დიდი სახლი ჰქონდა, ახალნაყიდ სახლში მდგომარეობი შეასახლა და ხელი შოითბო. ეზოში გარაჟი აიშენა, მაგრამ მალე ეს სახლიც მოზეზრდა და თავის ძმისშვილ დურმიშანს მოგელაშვილს 2000 მანეთად აჩუქა.

— საიდან ამდენი ფული? — შეეკითხა ვიღაც არამკითხე ისონს. ისონმა მორცხვად გაიღიმა და დამალა, რომ სახელმწიფო ორგანიზაციის კუთვნილი ფოტოატელიე საკუთრებად აქვს გადატყვეული, რომ 50 ფოტოსურათში 35 მანეთის ნაცვლად 100 მანეთს ართმევს კლიენტებს. არც ის უთქვამს, რომ ჯამაგირს 35-40 მანეთამდე იღებს, არც მდგომარეობი უხსენებია და ყველაფერი სოფელ საქაშეთში თავის ხილის ბაღს დააბრალა.

— სოფელში ხილის ბაღი მქონდა, 4-5 ტონა ვაშლი მომყავდა, ფულიც აქედან მაქვს, — განმარტა ისონმა. ალბათ, მას დაავიწყდა, რომ ეს ნაკვეთი 1946 წლიდან კოლმურნეობის მიერ ჩამორთმეული აქვს. ისიც დაავიწყდა, რომ ხაშურში სულ რაღაც 11 ძირი ნახევრადგამამარი ვაშლის ხე უდგას, რომელიც 100 კილოგრამ ნაყოფს თუ მოისხამს. რა ქნას ისონმა, ბევრმა ზრუნვამ და საქმემ გულმავიწყობა იცის.

მტრებიც ჰყავს ისონს, მაგრამ მათი სულაც არ ეშინია. პირიქით, ისონი ვაკაცოი კაცია და ვაკაცურად ავიწროებს და ლანძღავს თავის ერთ-ერთ მტერს, მეზობელს, ელექტრომაგლის წარჩინებულ მემანქანეს, კომუნისტ გიორგი ხუჯაძეს და მის ოჯახს.

— გაგპყლეთათ, მოგსპობთ, მიწასთან გაგასწორებთ! მე ფულით ყველაფერს გავაკეთებ, ყველას შევისყიდო!

მუშაობს ფოტოაპარატი, მუშაობენ ისონის ხელები და თავი, იბერება ისონი, ებერება ჯიბე ისონს. ისონმა ყველაფერი იცის, იცის როგორ უნდა იცხოვროს. ყველაფერი იცის და ყველაფრის გაკეთება შეუძლია. როგორც იტყვიან, ყველაფერზე მოაწერს ხელს. ფრთხილად, მეზობლებო!

# ჩოხიჯანა

მსურს გაგაცნოთ ანუსია, გაგხდეთ ამის თვადები, წლიდან წლამდე დაგროვილი საჭორაო ამბებით; იცის კარგად, ვის ვინ უყვარს, რა დღიდან და რა დროდან... მაშელობამ თუ გაუმტყუნა, ჭორიკანად გამოდგა.

იცის, იცის, გაბმული აქვს ჯადოსნური ძაფები, ახალ კაბას ვინ იკერავს, რა მოღით და რა ფერით; ქერა თმები ვის უხდება, ან თვალები ვიშერის, ჯიბით სარკეს ვინ ატარებს და მიივები ვის შვენის;


სმა-ჭამას ვინ ეტანება, ღვინითა თუ არაყით როიალი ვინ იყიდა, საიდან და რა მარკის...

წუთით ყური მომაპყარით, რომ უკეთურ გაიცნოთ და გაიმბობთ, ვით ჭორავდა თვითონ თავის სასიძოს: „ქვეყნად განა ცოტას ვხედავ კაცებს ლამაზ-ლამაზებს! იმ ბიჭს გოგოს არ გავატან, რომ გამკილონ ჭადარზე.“

ლოთიც არის, ხულიგანიც, იცნობს ამერიკური, გვერდში უდგას ძმებიკები დანებით და ლივერით. თქვეს, რომ თითქმის სტუდენტია, ასეთ ტყუილს ავიტან? რისი სწავლა... ტექნიკუმი არც უნახავს თვალითა.

ღარიბი და ლატაკია, მჭადიც არ აქვს სადილად, თუ წამართვა ქალიშვილი, მიშიმშილებს ნამდვილად. თავიც ოხრად დარჩენია, გახდეს ჩემებრ მკენესარი, ათი ცოლი გაუშვია, მეტერთმეტე ეს არის. მიკვირს როგორ დამიბრმავა ნესტანივით ასული. ერთი სიტყვით—უქნარაა და ხელიდან წასული... ეს რა ჭირი შემეყარა, რაღა წყალში ჩავევარდე!..“ ასე ჭორით დადიოდა თბილისიდან ჩხარამდე. პოლა, ერთი დღეც გათენდა, რომ თენდება ისეთი, დაქორწინდა ქალი ვაჟთან სიყვარულის მიზეზით. მაგრამ, აბა, რას იზამდა, გახდა ბედის მორჩილი, სიძე ურცხვად გადაკოცნა, ცას წვდებოდა ქორწილი. დრო გავიდა... სიძის ქებით დადის კარით კარამდე, აქედან და დიდუბემდე, დიდუბიდან ჩხარამდე...

გურამ კლდიაშვილი



კარლო ივანეს-ძე წვენიევიც მართავდა მანქანას ამ რამდენიმე წლის წინათ. და აი 1958 წლის აპრილის ერთ ჩვეულებრივ დღეს სასწრაფოდ გააქროლა მანქანა და მოუსავლეთში სასწრაფოდ გააგზავნა ყოვლად უწყინარი მოქალაქე.

ექვსი წლის პატიმრობა მიუსაჯეს წვენიევს, მაგრამ ამნისტიამ უშველა და 1959 წლის 16 ნოემბერს ციხიდან გამოვიდა.

წვენიევმა თქვა, მეყო, რაც ვიწვნიე, ახლა მუშაობას უნდა შევეუდგეო და სასწრაფოდ მიაშურა ქ. თბილისის ჯანგანყოფილების სასწრაფო დახმარების სადგურს. სასწრაფო დახმარებაში სასწრაფოდ აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება და სასწრაფოდ დასვეს სასწრაფო დახმარების მანქანაზე.

— სასწრაფო დახმარება უნდა აღმოუჩინო ხალხს და ამით უნდა გამოვისყიდო ჩადუნილი დანაშაული, — დადო პირობა წვენიევმა.

არ გასულა დიდი ხანი და, ამა წლის ორ იანვარს, შეზარხოშებულმა წვენიევმა ისე გააქროლა სასწრაფო დახმარების მანქანა, რომ სასწრაფოდ დაჯახა მოქალაქე მ. მგელაძეს და, მგელაძისა და მისდა საბედნიეროდ, მსუბუქად დააშავა იგი.

— ისიც დიდი დახმარებაა, რომ არ მოკალი, მაღარიჩი შენზეო, — მიაძახა დაზარალებულს წვენიევმა.

სადისკვალიფიკაციო კომისიამ წვენიევს ექვსი თვით ჩამოართვა მართვის უფლება.

— ჩამომართვით, ჩამომართვით, მართვით მაინც ვმართავ, ყურებზე ხახვს ვერ დამაჭრითო, — არ გაიტეხა იხტიბარი წვენიევმა და მართლაც უნ-

ბართვოდ, მაგრამ უშუალო „ხაზინების“ ნებართვით, ისევ ისე განაგრძო სასწრაფო დახმარების მანქანის ჩქაროსნული მართვა. არ გაუშვა ბიჭმა საჭეს ხელი და უბატონოდ არც არავინ სცემდა ხმას, უნებართვოდ რად ზიხარო.

8 თებერვალს კარლო წვენიევმა ისე გააქროლა მანქანა პპ ზიმ № 14-42, რომ წვენი ადინა. ფოტოხერაშვილისა და ნინოშვილის ქუჩების გზაჯვარედინი ჯიქურ გადაიჯლიგინა რკინის მხედრით და სატვირთო მანქანას დაეჯახა. სასწრაფოდ დააზიანა სასწრაფო დახმარების მანქანა და სანიტარი ბ. ავეტიკოვი, რომელსაც, სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად მიმავალს, ახლა თვითონ აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება.


ასეთ სასწრაფო დახმარებას უწევს კარლო წვენიევი ხალხს და ასეთ სასწრაფო დახმარებას უწევს მას, რისი ჯადოსნური ძალითაც იგი ყოველგვარი შარიდან მშრალზე გამოდის.

ჩვენ არა დაგვრჩენია რა სათქმელი, გარდა იმი-სა, რომ დროა, კარლო წვენიევს სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოთ, სასწრაფოდ მოვაშორეთ სასწრაფო დახმარების მანქანას და საერთოდ ყველა ჯურის მანქანას, რათა წინასწარ და სასწრაფოდ ვინსნათ წვენიევის მომავალი სასწრაფო „დახმარების“ მსხვერპლად განწირულნი მოსალოდნელი უბედური შემთხვევებისაგან. თანაც სასწრაფოდ გამოირკვეს ვინ უწევდა სასწრაფო დახმარების მძღოლ კარლო წვენიევს სასწრაფო დახმარებას.

დროა სასწრაფოდ დავეხმაროთ კარლო წვენიევს...

3. ნიკოლოზიშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



— არსად არ მუშაობ, ავად არ ხარ და რა პირით ითხოვ საგუზურს?  
— კაცი ძლივს ვდგავარ ფეხზე და დასასვენებელ სახლში არ მიშვებთ?!

ზოგიერთი საწარმოო სამმართველო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აუარებელ მიმართვებს გზავნის.  
(საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებიდან)

ნახ. ა. კანდელაკისა



— რაშია საქმე, ჩვენი ლონგინოზი გარეთ რომ აღარ გამოდის?  
— სამმართველოდან მიღებულ მომართვებს კითხულობს საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ!



— ერთის მაგივრად ორ-ორი ხე დგას ბაღში და მანქანებიან ბალი გამეჩხრეო!

# მეურნეობის მართვა

ამას წინათ ერთი ბლოკნოტი ვიპოვე. ავიღე. გადავშალე და, თუმცა სხვის ნაწერებში ქვეყანა კარგადად სულაც არ მიმაჩნია, ცნობისმოყვარეობამ იმდენად მძლია, რომ მაძღუნდა და აი რა ამოვიკითხე მე აწ უკვე ცოდვილმა და წასაწყმედად განწირულმა:

2 მარტი — დღეს ალფეხს ვირის აბანოში უკრეს თავი... ასე უთხრეს, მექრთამე ხარო. ეგ ტუტუცი, ევა. სულ იმას ჩაგვიჩინებდი, ფრთხილად იყავი-მეთქი, მაგრამ, გამიგონა?... ახია მასზე, ეგდოს ახლა გამოკეტული... მე ალფეხივით მწვერილობანე როდი ვარ, ორას-სამასი მანეთისათვის ხელი გავისვარო! თუ საქმეა, საქმე იყოს, ღირდეს უნდა, არადა, თითს როგორ გავანაძრე... ნამდვილი ქუდბედა ვარ, ჭკუაც მე დამყვა და მოხერხებაც, ქიციც ვიცი და ქიცმატურიც, ქრთამის აღებაც და კვალის არევაც... აფერუმ შენს ვაჟაკობას, თავო ჩემო!

4 მარტი — მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებაოდა. მოვიგონე ქართული სიბრძნე: „სახლი იწვებოდე, ხელი მოითხოე“. მეც რა მინაღვლებოდა, ალფეხის წვრილ-წვრილად ადებული ქრთამები მსხვილ-მსხვილად რომ ჩამეჯობა, ავდეცი და ალფეხის ცოლს ვეახლე, მივუსამძიმრე, მან თავისი გასაჭირი შემომტირა, მე გული დაეფუშედი, ნუ გეშინია, ხომ იცი, რა კვაჭიცა ვარ, შენს ალფეხს სულ მალე გამოვაშვებინებ, ფულით, შექალო, ჯოჯოხეთის ცხრაკლიტულს აღებენ და მე რა უნიათო შენა მნახე, დამწყვედული საღსალამათი კაცი დღის სინათლეზე ვერ გამოვიყვანო-მეთქი. ცრემლები მოიწმინდა, გადამეხვია, გადამოცნა: სიკვდილამდე შენი ერთგული ყმა ვიქნები, ოღონდ რაიმე მიშველე და ოჯახის მარჩენალი შინ დაბარუნებინე, პატივისცემა ჩვენზე იყოს. გადამოთელის ვალს დაგიდებთ და შენს წინაშე სირცხვილს არა ვქამთო.

— რისი პატივისცემა, რა პატივისცემა? — ვიწყინე ყასიდად. მაგრამ მაინც რამდენიმე გატყინებული ასიანი გამოვართვი ჯიბის სახარჯოდ და შინ ღვაწლმოსილი დაებრუნდი.

8 მარტი — ვითომ ალფეხის გამოსახსნელად თბილისს მივაშურე. ათასი რამე მაქვს საყიდელი ცოლისთვის, ბავშვებისთვის, ჩემთვის, თანაც, როგორც თბილისში გაატარებ დროს, ისე არსად, ფული სწორედ იქაა საჭირო, მეც ვიცი ფულის ყადრი და ვიცი, როგორ უნდა დროის

გატარება თანაც გზადაგზა ვინ იცის იქნებ რაიმე საკბილოსაც გადაეწყვედ, ასეა, ბატონო. მოგორავე ქვას ხავსი არ ეკიდება და მეც ერთ ადგილზე ჯდომით ხომ არ უნდა დავიბდე, თანაც ხელის მოთბობა სხვადასხვა ადგილას ჯობია, ნაკლებ საშიშია...

13 მარტი — მაშინ „ნად კუროში“ ჩემს ძმაბიჭებთან რომ ვქვიფობდი, ერთი კაცი გამაცნეს, ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა იმ დალოცვილს. ძმა მყავსო დაბატობებული, გაფლანგვას აბრალებენ და ვაითო მკაცრად დასაჯონო. მეც კარგი შშოვნელი ვარ, მაგრამ, ძმის ცოლ-შვილი კი არა, როგორც საჭიროა, ჩემი ოჯახი ვერ მიჩენია და არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე.

მე იმითომ შემომჩიოდა, რომ, როგორც ჩანდა, ბიჭებმა ჩემი შნოსა და მარცხათის ამბავი ზეპირად უთხრეს. მეც არც მიცივია, არც მიცხელება, ნუგეში ვეცი, მოდი, კაცო, მოვილხინოთ, იმდენი ნაცნობ-მეგობრები მყავს ღიად ხალხში, რომ შენს ძმას ერთი ბუწვი არ დააკლდება თავზე... ახლა ამას გაუმარჯოს, იმას გაუმარჯოს და საქმეზე ხვალ მოვილაპარაკოთ-მეთქი. თანაც მისამართი მივეცი ესა და ეს სასტუმრო, ესა და ეს სართული, ესა და ეს ოთახი-მეთქი.

ახლა ველოდები, საცაა მოვა!

14 მარტი — მოვიდა, ორი ათასი მანეთი ავაძვერე. ხვალდან საქმეს შევუდგები-მეთქი. სანამ მის ძმას გაასამართლებენ, დროს ვატარებ და მერე იქნება არც კი დასაჯონ ისე მკაცრად და მეც ვიტყვი. მე გადავარჩინე-მეთქი, ჯიბეც სავესე მექნება და კლიენტაც მაღლიერი მეყოლება.

17 მარტი — რა შიამიტი ხალხითაა სავესე აქაურობა. იმ ჩემმა გამაბედნიერებელმა სხვა კლიენტაც მომიყვანა, იმასაც მალე მოვუქონე თავი და მოვაცილე „ხელის ჩუქუცი“. ახლა ძმაბიჭებთან მივიღივარ, მალარიჩი ჩემზეა...

23 მარტი — მთელი ეს დღეები ჩემს მოხერხებულობას ვასველებდი, თვალუბაცრემლებულ კლიენტებს თვალებს ვუმშარლებდი და დამლაშობით მოდერნად ჩაცმულ-შეკრეჭილ საყვარლებთან ვჭკუპუჭებდი, დღიურის საწერად სად მეცაღა, ახლაც ველოდები ერთ გულის ვარდს, მოვა, აღბათ, ფრთხილად მომიკაკუნებს და მერე დამიტკბობს გულსა... წამები საათებად მექცა, ნეტავი, რატომ იგვიანებს... თუმცა არა, ამა დააკაკუნა, ხარიც დარეკა, მოდი, მოდი, ჩემო თვალის სინათლემე, აჰ, როგორ აბრახუნებს...

აქ დღიური წყდება. არ ვიცი ვინ მოვიდა ჩემს გმირთან — გულის ვარდი, თუ გულის დარდი... უფრო მეორეა საგულისხმო, არა და წერის საღერღელაშლილი უთუოდ აუწერდა მაღლიერ შთამომავლობის სატრფოს წარმტაც სილამაზეს. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ნახად კი არ დაუკაკუნეს კარებზე, არამედ მიუღრახუნეს, და ის ზრახუნე უფრო ავბედითი ამბის მაცნე იყო, ვიდრე ცდომილი ანგელოსის მორცხვი, მორიდებული გამოცხადება.

# ქსეიჯინი

- რა გვარი ხარ, ბიჭო?
- ჯაოშვილი.
- მერე ურიგოდ რატო მოძვრები?
- ძვალი გადავყლაპე, ექიმო!
- მტრის ოჯახში იყავი?
- არა, ამხანაგთან.
- მერე ღვინო ვერ დააყოლე?
- ღვინო ადრე დავლიე.
- რა გვარია შენი ამხანაგი?
- ტარასა... ვიბრჩობი, ექიმო, მიშველე.
- რახან აქამდე მოაღწიე, არ დაიბრჩობი, რა ქამე?

— საცივი.  
— საცივს ვინლა ქამს ახლა, კაცმა რომ შეგხედოს, მინისტრსა ჰგავხარ და ძვლებსა ულაპავე კი რილოვის ზდაპარი არ წაგვიკითხავს, მგელს რომ ძვალი გაეჩხირა, კოდალას უთხრა, ამომიღეო და რასაცა მთხოვ ყველაფერს შევისრულებო.

— ეგ არ წამიკითხავს, ექიმო, ნიანგში წავიკითხე, კაცმა რომ ჩანგლები გადაყლაპა.

— ამდენს რომ კითხულობ, ჭამა ველარ ისწავლე?

— ექიმო!  
— მე წავალ ექიმს დაფუძახებ, შენ თუ მანამდე ძვალი ამოაგდე, არ გადააგდო, სახლში ძაღლი მყავს, შენსავით ნასწავლია, იმას წავუღებ. რა გქვია?

— შოთა!

— ესეთი სახელის გაფუჭება იქნება? პატრონი არა გყავს?

- ორი შვილი მყავს და ცოლი.
- მე ორი ცოლი მყავს და შვილი არა.
- ექიმო!
- გითხარი, ექიმო არა ვარ, პარიკმანერი ვარ; უორა. ექიმმა მითხრა, თუ ვინმე მოვიდეს, გაართეო.





— ერთი ჭიქა ბორჯომი 4 კაპიკი ღირს, თქვენ კი 5 კაპიკს მახდევინებთ!  
— ბოღში, პახმელია მეგონეთ!



კურდღელს ნანატრი აუხდა:  
გაუჩნდა კობხა ბაჭია,  
მაგრამ სახელი შვილისთვის  
ვერა და ვერ შეარჩია.

ცოლს ქმარი ჩასჩიჩინებდა:  
— რა ამდენი სადავო,  
შვილს მამაჩემის სახელი —  
ნაცარა დავარქვათაო.

განჩხლებულმა ცოლმა ქმარს  
მეტის თქმა აღარ აცალა:  
— შენ ხომ არ გაგიყებულხარ,  
რა სახელია ნაცარა?

მაგას თუ გულში ფიქრობდი,  
როგორ გაბედვ გახეულა,  
ჩვენი ძე, ისე დიდიდა,  
სპილო შეჭფერის სახელად.

ახლა კი ხმელი კვარივით  
ბაჭიას მამა აენთო:  
— ტუტუცო, სპილოს ჩვენს გვართან,  
მითხარი, რა აქვს საერთო?

მიკვირს, ვის გავხარ ასეთი  
მეტჩიარა და პრანჭია,  
ხომ იცი, სპილოდ არასდროს  
არ გაიზრდება ბაჭია!?

ცოლი აყვირდა: — ჩვენი ძე  
ყველას ჯობს მთელს ჩვენს მოდგმაში,  
მას ისეთ სახელს არ ვკადრებ,  
რაც დღეს არ არის მოღამში!

და დავა იმით დამთავრდა,  
რომ შვილს, ფაქისს და უცოდველს,  
უგუნური დედის მოთხოვნით  
სახელად დათვი უწოდეს.

მ. ისაბაძე



ანზორ ბარამია

# სამართალიანი სსსკ

მე დურგალი გახლავართ. ვინ იცის, რამდენ კარ-ფანჯარას გაუვლია ჩემს ხელში. ერთ ძელაკს მეორეს შევეურთებ, მეორეს — მესამეს, ჩაქურხს ერთი-ორჯერ მივუკაკუნებ, ზოგან შალაშინს გავკრავ, თუ სადმე ჩამოხეტოილია ან ნუერი ამოვარდა. იმასაც სახელდახელოდ შევაკეთებ...

ერთხელ განსაკუთრებული კომპლექტი დავაგზავდე. კარს არც ერთი ძელი სწორი არა ჰქონდა და ჩარჩოში კი ისე ლალად იჯდა, რომ ორივე მხარეს თავისუფლად იღებოდა. ანჯამა არ დამამაგრებია. წინასწარ გულიანად ვიცინოდი, რომ იმ სახლის პატრონს ეს კარი მთლიანად ხელში შერჩებოდა. ერთი-ორი ღურსმანი დავარტყი ჩარჩოს და მომავალ პატრონს ისე შევეუკურთებე, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო, კარი ასეთი დაღრეჯილი რომ გამოვიდა.

ერთ მშვენიერ დღეს ადგილკომის თავმჯდომარე მემახის: ჩვენს ქარხანას ბინების ფონდი გამოუყვეს და შენ ბინა უნდა მოგცეთ.

ზემით შევედი ახალ ბინაში. აი გაზი. აი წყა-

ლი... ვეცი ონკანს, წყალი ჩხრიალით წამოვიდა. დაილოცოს შენი გამკეთებელი-მეთქი, უნდა მეთქვა, მაგრამ ენაზე შემაცივდა სიტყვა... იატაკზე წყალი ბლომად დაღვრილიყო. შემონტაჟებებს კანალიზაციის მილები ერთმანეთში მშრალად ჩაეწყობო და თავი მიენებებინათ... ქვედა სართულში მაცხოვრებელმა ყვირილი ასტეხა, წყალი ჩამომივიდაო... ძლივს დავეკეტე ონკანი, მოვწმინდე წყალი და ოფლში გახვითქული აივანზე გასაგრილებლად რომ გავსულიყავი, კარის სახელური მოვწვიე, კარი გადმოვარდა და მსხვერველ-მტვრევით თავზე ჩამომეხმო, ის იყო, უნდა დამეძახა: შენი გამკეთებლის-მეთქი... პირი ღია დამჩრა. ოჰ, როგორ უმალ შევიცანი საკუთარი ნაოსტატარი! ვაი, შენ ჩემო თავო, სად გიწია ცოდვამ!

...კარგა ხანია იმ სახლში ვცხოვრობ. ცოდვებს იმით ვინანებ, რომ შენ ყოფნისას, ხან კარს ვარემონტებ, ხან ფანჯარას. ახია ჩემზე, აკი ჩემს თავს მე თვითონ გამოუტანე სასჯელი.

უ. გომოლაძე



## ნახევარი დღეიდან

7 თებერვალი. საღამო. ჩვენი საყვარელი ადგილია "გემო". ის საღამო უგემურად გავატარეთ: ორი ჭიქის მეტი არაფერი გაგიტეხია. მოზრდილი ვალი გამოგვეყა და თითო დანა-ჩანგალი.

8 თებერვალი. დამე. სტუდენტულ კამპუსში გამოვდივარ. თავი მიბრუნდა ღვინისა და სიცხისაგან... რადიატორთან ვერაფერს გავხდი და ორი მინა გამოვიღე მუშტით. ამხანაგებმა მოხერხება მომიწონეს.

დილა. ათმა სულმა გაიზმორა განაივებულ ოთახში. ზოგს სურდო გამოაჩნდა.

9 თებერვალი. დილა. დღეს ვერა ვარ ხასიათზე, ლექციებზე წასვლა ვარჩიე.

ლექციაზე. მეათე სიმფონიასავით ჩამესმის ლექტორის ხმა და ძილი მივრევა.

10 თებერვალი. დილა. ინსტიტუტში დარჩენილი საგნის ჩასაბარებლად გამოვცხადდი. ლექტორმა კანტი მკითხა.

— კანტი მრავალნაირია, ბატონო ლექტორო, ჭრელი კანტები ბებიაჩემს უყვარს.

— სისულელეა, სისულელე!..

— რა თქმა უნდა, ბატონო, იმ ხნის ქალია და ბავშვის ჭკუა აქვს.


მესამედ მთხოვეს მოსვლა გამოცდაზე.

საღამო. ცხელ გულზე ბიჭებთან დავლიე. ოლივიანტს ცოტა წავგარით ცხვირზე. ჩვენ სტუდენტური სასამელი ვთხოვეთ, მან კი სამარკო ღვინოები შეგვატყუა. მერე ვილატეებმა სადღაც წამიღეს.

11 თებერვალი. დილა. გამოსაფხიზლბელში გამოვდივარ. უკვე ფხიზელი ვარ, მაინც არ მიშვებენ. — დღეს სპეცმინარია, ნუ გამაცდენინებთ! — ვთხოვე ყველას. ყური არავინ მათხოვა. უცებ ერთმა აზრმა გამიილევა და დეპეშის ბლანკი სასწრაფოდ შევაგე: „საყვარელო მამიკო. ერთხელ კიდევ უშველე შენს უკანონოდ დასჯილ ბიჭიკოს. ჩამოსვლამდე აქ დაგელოდები. შენი საყვარელი შვილი“.



ტყისმცველთა საერთო კრება ტყის დაცვის საკითხებზე



ამა წლის 28 თებერვალს ბევრი ოფლი დაიღვარა თბილისის აეროპორტის კომერციულ საწყობში. აბა რა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 2,095 კილოგრამი დარჩეული ვაშლი სპეციალური რეისგარეშე თვითმფრინავით გაავზავნო სიმფეროპოლში, მერე არც ოფლი მოიწმინდო, არც წუთით დაისვენო და 3,730 კილოგრამი ვაშლი სხვა რეისგარეშე თვითმფრინავზე დატვირთო კუბი-შეველთა მოსამარაგებლად. დიახ, ბევრი შრომა და ჯაფა ნახეს, მაგრამ 350 კგ ვაშლი მაინც გაუვზავნელი დარჩათ.

აეროპორტებზე მოსკოველი ქალებისათვის სარგამარტო საჩუქრის გაგზავნა გადაწყვიტეს, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, შავიზღვისპირეთიდან 350 კგ მიმოზა ჩამოზიდეს, ყუთებში ჩაალაგეს და ყოველგვარი საქაღალდე გაჯანჯლებსა და ქვით-

რების გარეშე გაავზავნეს ტუ-104-ით სასწრაფოდ გასავზავნად, ამით მოსკოველი ჯენტლმენი მამაკაცების გულის მოგება უნდოდათ უპირველეს, რომლებიც, თავის მხრით, მოსკოველი ლამაზმანების გულს მოიგებდნენ ძვირფასი საჩუქრით და, ბოლოს...

მიმოზით მომმარაგებლებიც მოიგებდნენ ცოტათი ფულს. მაგრამ, როგორღაც, ხელიდან გაავდებინეს მორცხვი მიმოზა, თუმც მათ არათუ დაიმორცხვეს, იხტიბარიც არ გაიტყვეს და ისევ ჩვეული გულმოდგინებით განაგრძეს მოღვაწეობა...

13 მარტს სპეკულაციისა და სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების დაუბატიკებელმა წარმომადგენელმა კომერციულ საწყობში 3000 კგ ვაშლი აღმოაჩინა,

80 ყუთში ჩაწიკწიკებული და კუბიშეგში გასავზავნად განკუთვნილი, ვინმე ახალციხელი სააკთათრიშვილისა და ივანე აკოვასვილის, მიერ ჩაპოტანილი, ჯერ კიდევ გაუფორმებული, მაგრამ საიმედო ხელში მოქცეული ძვირფასი ტვირთი.  
27 მარტს 2.760 კგ ვაშლი და 170 კგ ხმელი ხილი ქსუისელი (ზნაურის რ.) ოთარ ჯავახიშვილისა, 1.805 კგ ვაშლი და 85 კგ გამხმარი ხილი იმავე სოფელი მარგალიტა ჯიკოევისი, 3.615 კგ ვაშლი და 115 კგ გამხმარი ხილი ისევ იმავე სოფელი თედო ჯავახიშვილისა, 1.525 კგ ვაშლი და 100 კგ გამხმარი ხილი თინა ჯავახიშვილისა, 1.015 კგ ვაშლი გორელი ბიჭიკო თევდორაშვილისა დადგნენ სტარტზე კუბიშეგში რეისგარეშე თვითმფრინავებით გასავზავნად ქვითრების № № 159. 621, 159. 620, 159. 619, 159. 618 და 075.855 ძალითა და „კანონიერებით“

24 აპრილს 25 აპრილის დღის ექვსი საათისათვის რეისგარეშე თვითმფრინავი ტუ-104 გამოიყო სპეციალურად სვერდლოვსკში გასავზავნად. ჯერ ერთი და სვერდლოვსკელები ხომ უნდა მოეპარებინათ ახალმოწყვეტილივით შენახული თურაშაულებით, მერე და ვაშლის პატრონებს, გორელებს, ხომ არ უნდა დალობოდათ ბუნების ეგსასწაული. როგორ შეიძლება დახმარების ხელი არ გაეწვდინათ, გაჭირვების ტალკეცად არ გამოსდგომოდნენ! აბა თვითონ განსაჯეთ, ვინაა აეროპორტის მესვეურებში ასეთი უგულო? არაგინ, ყველა ერთი მგორეზე უკეთესი და ერთი მგორეზე გულისხმიერი ადამიანია.

დადგა 25 აპრილის დღის 6 საათი, აეროპორტელები და ტუ-104 მოუთმენლად ელოდნენ წინა დღით გაფორმებულ საწყობარ ტვირის, მაგრამ ტვირთი როგორღაც და რატომღაც იგვიანებდა... იძულებული შეიქმნენ გამზადებული ლაინერი სხვა მიმართულებით ეფრინათ, და სვერდლოვსკის რეისგარეშე, მაგრამ საგულისხმო მარშრუტისათვის სხვა თვითმფრინავი (ტუ-104 № 42455) გამოეყოთ. რამდენიმე საათში ვაშლებით დატვირთულმა ორმა საბარგო მანქანამ მიაბდავლა აეროპორტს. ცოტა დაგვაგვიანდა, მაგრამ ქვითარი ხელში გვიჭირავს და თვითმფრინავი ხომ არ გაგვექცევაო. ის კი გაიტყა, მაგრამ მეორე კიდევ უკეთესი მანქანაა ჩამომდგარი და არხეინად იყავითო, დაამშვიდეს აეროპორტელებმა.

დაიწყო დატვირთვა, რომელსაც საქ. სსრ მილიციის სამმართველოს სპეკულაციისა და სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მუშაკების გ. ბონდარენკოსა და შ. მხეიძის, აეროპორტის მუშაკთა და ვაშლის პატრონებისათვის ფრიად არასასურველი ჩარევის შედეგად დაუყოვნებლივ მოჰყვა გადმოტვირთვა, როგორც არაკანონიერი მოქმედების ოპერატიული შედეგი.

მერე რა თუ დამამზადებელ ორგანიზაციებს უჭირთ ხილის დამზადების გეგმის შესრულება? რა აეროპორტის მუშაკების ვალია ამაზე იდარდონ! ეს არაა მათი ალიას დარდი. ალიას დარდი ფლავი იყო და აეროპორტელთა ფლავი კი ამჯერად უკანონო ტვირთი გახლდათ. მაგრამ ასეთ ფლავებით გატაცებას ხშირად თავისებური შედეგი მოსდევს და მას წესიერი მუშაობის ჩაფლავება ჰქვია სახელად. ჰოდა, საქმის ჩაფლავებას და დადგენილების აბუჩად ავლებას ვინ აბატიებს ალიას!

ვაშლი ჩინებული ხილიცაა და გამდიდრების წყაროც, მაგრამ ხანდახან ვაშლი განხეთქილების საშუალებაცაა, და ამჯერადაც ვაშლმა ისევ გამოამყვანა თავისი მითოლოგიური თვისება და ისევ განხეთქილების ვაშლად იქცა აეროპორტის მუშაკებსა და საზოგადოებრივი კანონიერების დამცველთა შორის

ჩვენ არ გვიყვარს განხეთქილება, ჩვენ გვიყვარს ვაშლი, მაგრამ პატოსან საქმიანობასთან ვაშლის გულისათვის არ უნდა დავრჩეთ ვალში.

საუპარაოქო ნიანგი

შენც კარგად მოგეხსენება, თუ რას წარმოადგენდა წარსულში კოლხეთის ჭაობი. იმ ადგილებში ახლა ციტრუსები ხარობს. ალბათ იმისათვის, რომ მომავალ თაობას არ დაჰკარგოდა დამყაყებელი ჭაობების სურათი, თბილისში, საბურთალოზე, ჭაობებითა და გუბეებით აშორებულ ქუჩას კოლხეთის ქუნა დაარქვეს და ზედ ისეთი ტალახზელვა გააჩაღეს, რომ აქ გამგლელები და მცხოვრებლები თავბედს იწყევლიან.

ამბობენ, ხალხმა კოლხეთის ჭაობი ამოაშრო და კოლხეთის ქუჩის კეთილმოწყობა რა გახდაო? განა დრო არ არის მზრუნველი თვალთ დახედონ მისმა მესვეურებმა და კოლხეთივით ააყვავონ ნაჭაობნატალახარი ქუჩა?!

ჩვენი ნიანგი

შენს მკითხველებს კარგად ახსოვთ 1962 წლის მე-2 ნომერში ფოტოსურათით რომ ამხილეს ის მუშაკები, რომელთაც ზაპქისის კამხალთან მტკვრის ძველ კალაპოტში უპატრონოდ დატოვებულ ექსკავატორს ადიდებული მტკვრის ტალღებში ჭყუშპალაობა გაუმართეს. ყველას გვეგონა, რომ ქვიშის მოყვარულნი ისათოფეზე არ მიეკარებოდნენ ადიდებულ მტკვარს, რამეთუ ქვიშა და მოდიდებული მდინარე საზიანოა შრომისმოყვარე მანქანისათვის, მაგრამ მოვტყუვდით. წელს ისევ იმ ადგილზე შუბლმაგარამუშაკებმა ისევ ისე ადიდებულ მტკვარს შეატოვეს საღსალამათი ექსკავატორი და ქვიშა-ტალახით ამოუყვანა ძრავა მუხლუნები.

იქნება ექსკავატორის ნაცვლად ზოგიერთი მუშაკებისათვის გაგვემართა ასეთი აბანო. შეიძლება აღნიშნულ ღონისძიებას მაინც გამოეღო სასურველი შედეგი?

ძმარ ნიანგი

გეცოდინება ალბათ გვეგუქორის რაიონის მთის სოფელი დღვანა. ჩვენ სოფელში რვაწლიანი სკოლის შენობის გარდა ერთი მოზრდილი ხის ნაგებობა დგას, სადაც საფერშლო-საბებიო პუნქტი, სასოფლო კლუბი, სავაჭრო წერტი და საწყობია მოთავსებული. უკვე თთხი წელია, რაც ნაგებობის სახურავი ჩამოგრეულია, ჭერი დამპალია, რის შედეგადაც 500 წიგნი ხმარებიდან ამოსაღები გახდა, დაზიანდა სავაჭრო წერტიში სარეალიზაციოდ მოტანილი ავეჯი. ეს გარემოება ძირეული პრესის გარდა სარაიონთაშორისო გაზეთმა „კოლხეთის ცისკარმა“ და რესპუბლიკურმა გაზეთმა „სოფლის ცხოვრებაშიც“ ამხილა, რასაც შედეგად მხოლოდ მოსახლეობისაგან შეგროვილი ფულით ტოლის ყიდვა და მისი საწყობში ჩაკეტვა მოჰყვა. გადასურვაზე კი დღემდის არავის უფიქრია. კურსუს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ვ. გაბუნიას აზრით, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ბერულავამ უნდა იზრუნოს ამ საქმეზე, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ბერულავა თავის მხრივ გაბუნიასკენ იშვერს საჩვენებელ თითს. ასე უჭირავთ ერთმანეთს მგორისაკენ გაშვერილი თითები. იქნება შენ გვიშველო, ჩვენო ნიანგი, და ერთ-ერთ მათგანს დროზე მოახრევიანო თითი.

პვირვასო ნიანგი

მახარადის რაიონის სოფელ ასკანიდან სოფელ ბასილე-თამდე სულ რაღაც 3 კილომეტრია, მაგრამ მანქანით მგზავრობის დროს 3 კილომეტრის ნაცვლად 65 კილომეტრის გავლა გვიხდება, ისიც უვარგისი, შეუკეთებელი გზებით. ბასილეთიდან ასკანაში რომ მიხვიდე, ჯერ მაღალი ეწერი, ნავომარი, ქვენობანი და ხიდისთავი უნდა გაიარო, მაშინ როდესაც არსებობს გზა ასკანა, დაბალი ეწერი, მდინარე ყურეფა, ბასილეთი. მაგრამ სოფელ ბასილეთისა და ასკანის კოლმეურნეობებმა ვერა და ვერ შესძლეს ამ გზის წესრიგში მოყვანა. საჭიროა მდინარე ყურეფაზე გაიდოს 10 მეტრი სიგრძის ხიდი და ორნახევარ კილომეტრზე გზა მოიხრეშოს. კრებაზედაც ბევრჯერ იქნა მიღებული დადგენილება



გზის შეკეთების შესახებ, მაგრამ ბასილეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. ნანაძე და ასკანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ვასაძე დღემდე მორცხვობენ და ვერ გაუბედნიათ ამ კეთილი საქმის დაწყება.

იქნებ შენს რჩევას მაინც დაუჯერონ, ძმარ ნიანგი?

პატივცემულ ნიანგი

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათის შრომელები რაიონში მოწინავენი არიან და ეკუთვნიან, რომ კეთილმოწყობილი გზები გააჩნდეთ. სამწუხაროდ, წვიმის შემდეგ მათ მუხლამდე ტალახის ზელვა უხდებათ. გზები სავალალო მდგომარეობაშია, რის შესახებაც ბევრჯერ მივმართეთ კოლმეურნეობის გამგეობას, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყეს. სოფელ ჭანჭათის კოლმეურნეობა ძლიერი კოლმეურნეობაა, აქვს 8 სატვირთო ავტომანქანა, ტრაქტორები და ბულდოზერები, ხოლო მდინარე სუფსა საგსეა ხრეშით. როგორც ჩანს, ამ საქმეს მხოლოდ მონდომება და ხელმძღვანელობა უნდა.



შენ როგორ გგონია, ძმარ ნიანგი, რა უნდა უშლიდეს ხელს კოლმეურნეობის მესვეურებს ამ საქმის გაკეთებაში?

გაპირვების ტალახავსო ნიანგი

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის გოგებაშვილის ქუჩის I შესახვევის, კერესელიძისა და გუნიას ქუჩების მცხოვრებლებსაც გადმოგვხედე მოწყალე თვალთ. ჩვენ პურისა და ბოსტნეულის საყიდლად დიდი მანძილის გავლა გვიხდება. იქნებ გვასწავლო, ძმარ ნიანგი, ვის უნდა მივმართოთ, რომ ჩვენთანაც შეიძლებოდეს პურის, ბოსტნეულისა და სხვა საჭირო პროდუქტების შექენა?

სანაპარაოქო ნიანგი

დუშეთის რაიონის სოფელ მჭადისჯვრის მცხოვრებლებს სასოფლო საბჭოც გვაქვს და კოლმეურნეობაც, მაგრამ ჩვენი უბედურება ისაა, რომ საბჭოს თავმჯდომარე იასონ ძლიერიშვილი სოფლის ცენტრში ცხოვრობს და პირადად არ უხდება იმ აყრილ და ტალახიან გზებზე სიარული, სადაც ჩვენ ტალახს ვზელთ. შეგვიბრალე, ჩვენო ნიანგი, ტალახს ისე მივეჩვიეთ, რომ მშრალში ვეღარ დავდივართ. იქნებ შენ დაგიჯერონ საბჭოს თავმჯდომარემ და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და სოფლის შიდა გზების შეკეთებაზე იფიქრონ?



უბაქსტო ხუმრობა.

რედაქტორი ნ. შველიძე. | სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. | საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი: სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 16/V-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1033, უფ 03239 ტირაჟი 40.000

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითისამებრ საფრანგეთი-გარე  
შემო უტრიალებს გენერალ ფრანკოს, რათა დაითანხმოს და თავისი სამ  
ხედრო ბაზები განაღდოს ესპანეთის ტერიტორიაზე. საფრანგეთის მთავ-  
რობა ამისათვის მზად არის ასესხოს ესპანეთის დიქტატორს 750.000.000  
ფრანკი.

(გაზეთებიდან).



ორ კავალერს შორის.